„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ქიქოძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. [illegible] სტრიქონებისა ითვლება მათგან [illegible] გვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთის

„დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებლებთათვის

ოთხი მანათი

ვისაც დღემდე არ შემოუტანია მეორე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს დაახქარონ ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ ივლისის 1-დამ გაზეთი მოესპოთ.

## ხელოსნების გაჭირვებული მდგომარეობა

თბილისი, ივნისის 16-ს.

საითაც არ მიიხედავთ ჩვენს ქალაქში, ყოველის მხრიდამ მოისმის ჩივილი, რომ თავის-დღეში ამისთანა გაჭირვებულს მდგომარეობაში არა ვყოფილვართო. ამასა სჩივიან მამულის პატრონები, ვაჭრები, ხელოსნები, ერთის სიტყვით ყველანი და ყოველი და წამალი კი არა სჩანს-რა ამ მდგომარეობიდამ გამოსვლისათვის. ჩვენ საერთო გაჭირვებულ მდგომარეობაზედ ლაპარაკისათვის არ დავიწყეთ ეს წერილი; ეს გამოიწვია ხელოსანთა ერთის ნაწილის ცდამ, რომ თავიანთი მდგომარეობა შეერთებულის ღონითა და შეერთებულის შრომით გაიუმჯობესონ.

მკითხველს, უეჭველია, ენახება რიგი იმ მაღაზიებისა, რომელშიაც განსაკუთრებით გასაყიდი და გასაქირავებელი მებელი აწყვია. ეს მაღაზიები სავსენი არიან საბრალო დურგლებისა და სტოლიარების ნაწარმოებით, რომელთაც უმუშავნიათ, თავის ნამუშევარისათვის მუშტარი ერთბაშად ვერ უშოვიათ და მიუმართავთ მებელის მაღაზიების პატრონებისათვის. ეს უკანასკნელნი ამ შემთხვევაში ჩარჩობასა სწევენ და ნახევარ ფასად ხშირად ნაკლებადაც იღებენ ხელოსანთა ნამუშევარს, რომელნიც თანხმდებიან ამგვარ უკაცურ პირობებზედ, ოღონდ შრომა მალე გაინაღდონ და ცოტა რამ მაინც ხელში მიიღონ იმ ანდაზის ძალით, რომ ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი სჯობიაო.

ამ გვარ გაჭირებას გამოუწვევია დურგლებსა და სტოლიარებში სურვილი ჩარჩების აცილებისა და პირდა-პირ მუშტრისადმი მიმართვისა? მაგრამ როგორ? მათ განუზრახავთ ამხანაგობის შედგენა, დაუწერიათ წესდება, 22 კაცს ხელიც მოუწერია და საზოგადო თანხის შედგენის შემდეგ სურთ თავიანთ საწყობი, ანუ საერთო მაღაზია გაიმართონ, შიგ დააწყონ თავიანთი ნაწარმოები, ხელი მოიმართონ გაყიდვამდე ავანსის აღებით საზოგადო თანხიდამ და შემდეგ მოგება თანაბარად გაინაწილონ.

ჩინებული აზრია და სრულიად თანაგრძნობის ღირსიც, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ისევ ის გაჭირვებული მდგომარეობა უშლის ხელს ამ კეთილს დაწყობილებას. პირველში ხელოსანთა ამხანაგობას უნდა ორასი თუმანი მაინცა ჰქონდეს, რომ საქმე დაიწყოს და შეეძლოს ფულის ავანსით მიცემა ხელოსნებისათვის, ვიდრე მათი ნაწარმოები გაიყიდებოდეს და მიცემული ფული კასაში დაბრუნდებოდეს. როგორც ყოველთვის, აქაც გამოჩენილა ვიღაც «კეთილის-მყოფელი», რომელიც ფულის ავანსით მიცემას ჰპირდება ნამუშევარის გირაოში, მხოლოდ ფულის ამღებთ უნდა მაღაზია და კაცი უქირავონ და გაყიდვამდე ოცი და ოც-და-ოთხი პროცენტი აძლიონ. არ ვიცით რას ჰფიქრობენ ხელოსნები ამ «კეთილის-მყოფელზედ», მაგრამ ჩვენის აზრით, თუ ასე მოიქცნენ—ვაის გაყრილნი ვუის შეეყრებიან. «კეთილის-მყოფელი» კი არას წააგებს, რადგან სანდო გირაოში ოც—ოც-და-ათს პროცენტად ფული ექნება გაცემული და არც იმას ეცდება, რომ ნამუშევარი საჩქაროდ გაჰყიდოს და თავისი ფული დაიბრუნოს, მაგრამ ხელოსნები კი თუ ჩარჩების ხელში აღარ იქნებიან სამაგიეროდ ისეთს წურბელას ჩაუცვივიან, რომელმაც იქნება ჩარჩებისაგან მიღებული სიმწარე უარესის სიმწარით დაავიწყოს.

ვათავებთ ამ წერილს რჩევით, რომ თითონ ხელოსნებმავე გაიჭირონ, თითონვე მოუმართონ ერთმანეთს ხელი და თითონვე იღონ ის სარგებელი, რომელიც სხვის ხელში სრულიად

## უბრალო ამბავი

ეტიუდი.

„Es ist eine alte Geschichte,
Doch bleibt sie immer neu“.
Heine.

(გაგრძელება *)

«საძნელოა იმ შთაბეჭდილების აწერა, რომელიც მოახდინა ჩვენზე, და განსაკუთრებით ლუკაზე, პირველად ქალაქის დანახვამ: უზარმაზარი ქვის სახლები და მდიდრულად მორთული მაღაზიები, ეტლების გაუწყნარებელი, შორეული გრგვინვის მზგავსი ხმაურობა, ქუჩებზე ხალხის ფუსფუსი და არევდარევა,—სულ ეს უჩვეულო სანახავები რაღაც ახირებულს სიზმარს, ფანტასტიურ ნისლს ახვევდენ ჩვენს ნორჩს გონებას... ზარეტიანებული ვიცქირებოდით აქეთ-იქით და ანგარიშში ვერ მიგვეცა თავისთვის, თუ რა მდგომარეობაში ვიყავით...

«ჩვენ ჩამოვხტით ერთ ერთს სასტუმროში, ძველს უშნო ხის სახლში, რომლის წინა-პირზე მიკრული იყო ფიცარი, და მაზედ ოქროს ასოებით წარწერილი: «ფრანცია». დავბინავდით თუ არა ერთს პატარა ოთახში, მამა ჩემმა ჩამადნიდამ საბუთები ამოიღო და მითხრა გიმნაზიაში უნდა წავიდეთო. ჩვენ ჩავჯექით ფაეტონში და მალე ერთს დიდს, ორ-სართულიან ქვის შენობას მივადექით: გიმნაზიის ბალკონი მთლად მთხოვნელი ხალხით იყო გაჭედილი; მრავალი ჩემსავით პატარა ბავშვები შედიოდ-გამოდიოდენ კარებში თავიანთის დედ-მამით. ზოგიერთს მათგანს სიხარული ეხატებოდა პირის-სახეზე, ზოგისა კი ნაღვლიანი შეხედულობა ნათლად ამტკიცებდა, რომ მათი სწავლის წყურვილი არ დაკმაყოფილებულიყო... ვინ იცის რამდენი მთხოვნელი წავიდა იმ დღეს შინ გულ-დაწყვეტილი-დაღონებული, თავის ბედის და უსამართლობის კრულვით და თან წაიყვანა მეცნიერების ტაძრის გარედ დარჩომილი შვილები!...

«მე კი ამ მხრით ბედი სხვებზედ უფრო მწყალობდა: მე მიმიღეს გიმნაზიის პირველს კლასში.

«ამ შემთხვევამ მამა ჩემი ისე გაახარა, რომ არ იცოდა რა ექნა: მკოცნიდა, მეალერსებოდა, დამატარა მთელი ქალაქი ფაეტონით, მიყიდა სხვადა სხვა ტკბილეულობა, წიგნები, და ბოლოს, დააგვირგვინა თავისი გულუხვობა მით, რომ შემიყვანა ერთს დიდს მაღაზიაში და ახალთ-ახალს გიმნაზიის ფორმაში გამომჭიმა. როგორ აგიწეროთ მაშინდელი ჩემი გრძნობა?—მეძნელება... ერთი მახსოვს მხოლოდ, რომ ამპარტავნებას აევსო ჩემი პატარა გული, რომელიც ძალზედ მიცემდა ყელამდის ღილებ-შეკრულ «სერტუკს» ქვეშ... სიამაყით ვუცქეროდი გამვლელ-გამომვლელთ და უმეტეს პატარა უსერთუკო ბავშებს, რომელთაც ჩემი თვალები ნათლად ეუბნებოდენ: «ხედავთ, ვინა ვარ! ხედავთ ამ მოსირმულ საყელოს, მოელვარე ფოლაქებს, ამ კაკარდიან ქუდს? ჩამოდექით!» იმ დროს მეგონა, რომ მთელ ქალაქს ჩემზედ ჰქონდა მოქცეული ყურადღება, ჩემზედ ლაპარაკობდა, ჩემზედ ჰფიქრობდა ..

«სასტუმროში რომ დავბრუნდით, ლუკა წინ მოგვეგება და, დამინახა, თუ არა ახალს ტანისამოსში, განცვიფრების და თან აღტაცების ხმით მომძახა:

— ვანო, ვანო! ეს შენა ხარ? რა რიგ გიხდება, რო იცოდე, რა მშვენიერებაა! ამ გულ-წრფელის აღტაცების დროს ლუკა ხან იქით მიმატრიალებდა, ხან აქეთ, და იმდენი მატრიალა, რომ კინაღამ თავ-ბრუ დამეხვა.

«იმ დღეს მადიანად ვისადილეთ და მხიარულად გავატარეთ დრო; ცოტაოდენი კახურიც გადავკარით,—მამა ჩემმა აქაც სიუხვე გამოიჩინა. რომ დაბინდდა, ყველანი წინ-და-წინ დამზადებულს ბინისაკენ გავემგზავრეთ. ეს იყო პატარა ოთახი ქვედა სართულში, ერთის ჩვენის ნათესავის სახლში, სადაც მე და ლუკა ჩინებულად მოვთავსდით. მამა ჩემი მეორე დღესვე წავიდა სახლში.

«ჩვენ მალე შევეთვისეთ ახალს მდგომარეობას, თუმცა პირველს ხანებში გული ღრუბელივით გვეწურებოდა, როცა მოგვაგონდებოდა ჩვენი პატარა სოფელი თვისის ნაზი, წმინდა ჰაერით, აღმწვანებულის მთა-ბარით, ანკარა მოციმციმე მდინარეებით, რომელთ ნაპირებზედაც ხშირად გვიცელქნია და ათასი სანატრელი წამები გამოგვიცდია..

«სწავლის დროც მოახლოვდა... ოჰ, რა აჩქარებით მირბის ეს დრო! ხვალ, ორშაბათს გიმნაზიაში უნდა წავიდე .. ვათენდა თუ არა, მე გიჟივით წამოვვარდი საწოლიდამ და ლუკაც გავაღვიძე. საჩქაროდ ტანთ ჩავიცვი, ცოტა ვისაუზმე და პირველი ზარის წკარუნზე გიმნაზიისკენ გავეშურე. რვა საათი იქნებოდა. ეზოში ბლომად მოეყარათ თავი ყმაწვილებს, რომელთ შორის კარგად მოზრდილებიც მოჩნდენ. აქვე იყვნენ ჩემსავით ახლად მიღებულნი: ამათი დაღონებული, დაღვრემილი სახის გამომეტყველება არ ეთანხმებოდა ძველების, მაღალ კლასებში მყოფთ სიხარულის კიჟინს და ცელქობას: ისინი მოშორებით იდგნენ ან ისხდენ გრძელს სკამებზე და არ იღებდენ მონაწილეობას სხვების მხიარულებაში. მეც მათს წრეს შევუერთდი.

«მალე პარაკლისიც უნდა დაწყებულიყო. აჰა, გამოჩნდა დიაკონიც, რომელსაც მოჰქონდა ანალოღია, უკან მოსდევდა მღვდელი ოლარ-ათვარებული, საცეცხლურით ხელში. ყმაწვილებმა დაუთმეს მათ გზა და ირგვლივ დიდი წრე შემოავლეს; ყველამ ქუდები მოიხადეს, და წესიც დაიწყო.. ვაისმა გიმნაზიის ხოროს მშვენიერი გალობა, რომლის ხმები ნელ-ნელა დნებოდენ დაკაშკაშებულს წმინდა შემოდგომის ჰაერში და უკანასკნელად ინთქებოდენ ლაჟვარდს

*) იხილე „დროება“ № 126.

უშრომლად გადადის. როგორცა ვთქვით, პირველში ორას თუმნამდე დასჭირდებათ და თუ ამ ფულის მოგროვება ერთბაშად არ შეუძლიათ, ნელ-ნელა აგროვონ და მოგროვების უმალვე შეუდგნენ საქმეს.

გვიან და მკვიდრად დაწყობა სჯობიან აჩქარებით საქმის წახდენას.

## შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ დღე ისე არ გავა, რომ ერთი ადამიანი მაინც არ იმსხვერპლოს მტკვარმა. რაკი ასეთს სიცხეებში ბევრიც აუკრძალო ბანაობა, არავინ გაგიგონებს—ერთს უკანასკნელ საშუალებას ვურჩევთ ქალაქის გამგეობას, პოლიციას და «წყალში გაჭირვებულთ მშველელს საზოგადოებას.» ქალაქის გამგეობამ აარჩიოს ორი ან სამი ადგილი მტკვარში ბანაობისათვის; «წყალში. გაჭ. მშვ. საზოგადოებამ» ამ სამს ადგილას დააყენოს თვისი მისაშველებელი ნავები და მცურავები და პოლიციამ არჩეულ ადგილებს გარდა, ყველგან, სადაც უნდა იყოს, აუკრძალოს ცურვა-ბანაობა. იმედია, თუ ეს სამივე დაწესებულება ერთგულად შეუდგებიან ამ საქმეს, უფრო იშვიათად წავიკითხავთ ადგილობრივ გაზეთებში დამხრჩვალთა სიას.

⊖⊖⊖ გორის მაზრის სოფ. ძეილეთში მცხოვრებ ტატიშვილებს სულ უბრალო საქმეზე—ერთს დღიურ მიწაზე მოსვლიათ ჩხუბი. საქმე ხელ-შუბის ტრიალსა და თოფის სროლამდისაც მისულა და ერთი ძმა ტატიშვილთაგანი, ზეგენა, მძიმედ დაჭრილი, მეორე დღეს მომკვდარა, ხოლო მეორე ძმა დღესაც მძიმე ავად-მყოფი სწევსო.

⊖⊖⊖ მახლობელი სოფლის გლეხები, რომელთაც სხვა-და-სხვა ხილეულობა შემოაქვთ ქალაქში, სჩივიან,—ქალაქს გარედ გვიხვდებიან ოთხი-ხუთი კაცი, ხშირად მეტიც ერთად, გვიჩხრეკენ ვირის საპალნეებს, რომ ძველი, დამპალი ხილი არა შემოვიტანოთ-რა ბაზარშიო, მაგრამ ამ დროს თითო მათგანს თითო-ორ ორი მუჭა ბალი იქმნება, კიტრი, თუ სხვა რამ ხილი ამოაქვთ საპალნიდამ და შეექცევიანო; თუ ვუთხარით რამე—გვეუბნებიან უნდა გავსინჯოთ—ძველი არ იყოსო.—ჭაშნიკი-კი გაგვიგონია, მაგრამ არც ამოდენა იქმნება: სამმა-ოთხმა კაცმა რომ ორ-ორი მუჭა ამოიღოს—ვირის საპალნე რაღა დარჩებაო?

⊖⊖⊖ დ. უვირილიდამ გვწერენ: «ისე თქვენი მტერი შეწუხებულა, როგორც ამ ბ. ხ—მა მთელი ჩვენი დაბის მცხოვრებლები შეაწუხა. ეს ხ—ჩი გახლავსთ აქაური კ—ის კ—ტი, რომელსაც კარგად უნდა იცნობდენ «დროების» მკითხველებიც. ეს ის რაინდი გახლავსთ, რომელმაც დიდი სიმამაცე გამოიჩინა ასრედ წოდებულის «უვირილელ გოჭის» საქმის თაობაზე. რადგან ამ «გოჭის» შესახებ საკმაოდ იწერებოდენ «დროებაში» ამიტომ მასზედ მეტი ლაპარაკიც არ არის საჭირო, მხოლოდ მოგახსენებთ რომ ის გლეხი, რომელსაც გოჭის მოპარვას აბრალებდა ბ. ხ—ჩი სასამართლომ სრულიად გაანთავისუფლა და დარჩა ჩვენი კ—ტი შერცხვენილი. ამის შემდეგ, ჩვენი გონიერი ანდაზისა არ იყოს, «ცხენს ვერაფერი დააკლესო და უნაგირი დაამტვრიესო», ბ. ხ—ჩმაც უბრძანა ერთს თვის ხელქვეითს და შუა სოფელში მინდორზე მობალახე ცხენისათვის ასროლინა თოფი. ეს ცხენი დღესაც კისერ-გახვრეტილი დაღოღავს არც მკვდარი და არც ცოცხალი. როდესაც ბ. ხ—ჩს ჰკითხეს ამის მიზეზი—აი, როგორ იმართლა თავი: ჩემი ხელქვეითი თოფს სინჯავდა და უეცრივ გაუვარდაო და ამისათვის იგი პასუხის გებაშიაც არ მიეცემაო.—მისნი ხელ-ქვევითნი სხვა ბევრს უწესოებასაც სჩადიან, მაგრამ ვინ გაგვიკითხა.

⊖⊖⊖ «Новое Время»-ს გაუგონია, რომ სასულიერო სამოსწავლო კომიტეტი ახლა სინჯავს და ადგენს სამოსწავლო პროგრამას სასულიერო სასწავლებლისათვის. ამ პროგრამებით სასულიერო სასწავლებლებს წინანდელ ღვთისმეტყველურ-ფილოსოფიური მიმართულების მაგივრად საეკლესიო-პრაქტიკული მიმართულება ეძლევათ სხვათა შორის, ამცირებენ ძველი ენების და ისტორიის შესასწავლად დანიშნულს დროს და დადგენილი იქნება ექვსი გაკვეთილი საეკლესიო გალობისათვის.

## უცხოეთი

**ინგლისი.** თუ გავიხსენებთ, როდესაც ავღანის ემირის მოკვლის ამბავი მოიტანა ტელეგრაფმა, ამასთან ერთად ისიც გვაცნობა, რომ ინგლისელი გამსაზღვრელი კომისია არ ვინ იცის, სად იმყოფება ამ ჟამადო. ინგლისის გაზეთების კორესპონდენტები ვერც ეხლა იძლევიან რაიმე ცნობას ამ კომისიაზე. მხოლოდ ერთის გაზეთის კორესპონდენტი-კი იწერება, რომ ერთი წილი ამ კომისიისა სპარსეთში გადავიდაო და დღემდის გამოკვლევით მხოლოდ ჰერათის მიდამოს იკვლევენო. ძნელი დასაჯერებელია, ამ კორესპონდენტის აზრით, რომ რუსის კომისარმა მომავალს ივლისში მოასწროს მისვლა განსაზღვრისა ალაგამდის, შემდეგ-კი აგვისტოს სიცხეები შეაჩერებენ მას ენკენისთვემდისაო. ამავე კორესპონდენტის სიტყვით რუსის ჯარი დღესაც ყიზილ-თეფესთან არის დაბანაკებულიო.

Standard-ს აცნობებენ თეირანიდამ, რომ რუსის მთავრობას ამ უკანასკნელ ხანებში დაეტუსაღოს, ვითომ, ორი ინგლისელი, რომელნიც გადმოსულიყვნენ რუსის ბანაკის დასათარეშებლად სარახსისა და ჰელათის შუა. ერთი დატუსაღებულთაგანი არისო ბ. ფინი, რომელიც მსახურებდა ბრიტანიის საელჩოში, თეირანშიო.

Daily News-ს აცნობებენ, რომ ყიზილ-თეფესა და პული-ჰისტის შორის ამ ჟამად სდგას 800 კაცი რუსის ჯარისაო. დღეს აღარ არისო ისეთი მოძრაობა ჯარებისა საზღვრებ-

---

სივრცეში... მაღლიდამ დასცქეროდა ამ მოზარდს თაობას მოწმენდილი მშვენიერი სამხრეთის ცა, და ნიშნად კურთხევისა ჰგზავნიდა გიმნაზიის ეზოში თვისს მაცხოვლებელს სხივებს... რა ღრმად ჩამეჭრა მეხსიერებაში ეს წამი! მხლაც, ამდენი ხნის შემდეგ, კიდევ ნათლად ეხატება ჩემს გონებითს თვალებს ეს დიდად-მშვენიერი სურათი...

«პარაკლისი გათავდა... კვლავ გაისმა ყმაწვილების კარგა ხანს შეჩერებული ჟივილ-წივილი, აიშალ-დაიშალნენ და თავ-თავიანთ ბინისაკენ გასწიეს.

«სწავლა მხოლოდ მეორე დღეს დაიწყო.

«ამ დღიდამ მოკიდებული ჩემმა ცხოვრებამ მიიღო ერთ-გვარი, უფერული და შეუცვლელი ხასიათი: ნელა,—აუჩქარებლად მიდიოდა ის ისე, როგორც მიიკლაკნება ხოლმე წყნარი მდინარე სწორს, ტიტველს მინდორზე, რომელიც უქანცავს კაცს თვალს თვისის ერთფეროვნობით... მხოლოდ შორს, შორს ხედავ რიდესავით ჩამოშვებულს ცისფერ ჰორიზონტს, რომლისადმიც მიილტვის... ჩემს იმ დროის ცხოვრებასაც ჰქონდა თავისი ჰორიზონტი,—გიმნაზიის გათავება და იმ ძვირფასი ქაღალდის მიღება, რომელსაც ატესტატს უწოდებენ...

«მე ბეჯითად ვსწავლობდი გაკვეთილებს, ვუგონებდი უფროსებს და უდრტვინავად ვასრულებდი მათს ნებას: მოწიწებით მოვიხდიდი ხოლმე ქუდს, როცა ქუჩაში რომელიმე მასწავლებელი შემხვდებოდა,—ერთის სიტყვით მე გავხდი მოსწავლის იდეალად და ჩემზე გიმნაზიის მოძღვარნი ხშირად უთითებდენ ხელს არამზადა თვის-ნება ყმაწვილებს, როცა რომელსამე შეუფერებელს მოქმედებას ჩაიდენდენ.

«მალე ვიგემე ლათინური ენის სიბრძნეც და ჩემი პატარა ტვინი იმ თავითვე მიხვდა, რომ ეს არის ის სქელი, ეკლებით დაბურვილი ტყე, რომელიც აღმართულა ჩემსა და ატესტატს შუა .. მე ერთხელვე გამოვუცხადე ჩემს თავს, რომ ეს დაბრკოლება, რადაც უნდა დამიჯდეს, უთუოდ დავძლიო, გავჩეხო ეს საშიშარი ტყე და გავძვრე შიგ უვნებლად... აქედამ ცხადად დაინახავთ, თუ რა მძიმე ტვირთი აწვა ჩემს ჯერედ ნორჩს, სუსტს ბეჭებს: დილის რვა საათიდამ მოკიდებული ვიდრე ორ საათამდის გიმნაზიაში ვიყავ; შემდეგ მოვიდოდი შინ, ვისადილებდი ლუკასთან ერთად აჩქარებით, თითქოს ვინმე კისერში მცემდა და შევუდგებოდი გაკვეთილების სწავლას. საგნებს მე საზოგადოდ ადვილად ვითვისებდი... მაგრამ უნდა გენახეთ მაშინ, როცა ლათინურს გაკვეთილებს მოვკიდებდი ხელს! ოფლი მასხამდა შუბლზე, თვალები რაღაც უსიამოვნო, სალმობიერის ცეცხლით მიბრწყინავდენ, და მთელს პირის-სახეს გაეკროდა სასტიკი ტანჯვის გამომეტყველება.. ათასი ჩემთვის გაუგებარი და გაუგონარი სიტყვა უნდა გამეზეპირებინა უაზროდ, უმნიშვნელოდ, როგორც თუთიყუშს; ფრაზებს, ჩემთვის იდუმალების ნისლით გარემოცულებს ძალად ვიტენავდი ცვილივით ნაზს, გაუმაგრებელს ტვინში: «dulce et decorum est przpatria mori»—ვიმეორებდი მე ზედიზედ, სანამ ზეპირად არ მეცოდინებოდა .. ზმნანი შემოქმედებითნი, ვნებითნი, თვით-ვნებითნი, უმეშველობითნი აირ-დაირეოდენ ხშირად ნაცვალ-სახელთან, ზედ-შესრულთან, თანდებულთან და სხვ., ისე როგორც აირევა ხოლმე ერთმანეთში ნისლის მოხაზულობანი ზაფხულის დილის ჰაერში, როცა მზე ამოდის და უგზავნის დედა-მიწას თვისს ცხოველს სხივებს... ოფლი კი წურწურით ჩამომდიოდა შუბლზე და თვალები ციებ-ცხელებიანსავით მიბრწყინავდენ... ამ საშინელს წამს ვგრძნობდი მე, ვგრძნობდი, რომ რაღაც გაუგებარი, იდუმალი შეუბრალებელი ძალა უჯმაჯურივით ახშობდა ჩემს ტვინს, მძიმე წყვდიადით ჰბურავდა მას... თვალის წინ ცეცხლის ნაპერწკლები მიმორბოდენ, თითქოს ესენი ლათინური სიტყვები ყოფილიყვნენ, რომელნიც ცეცხლის წინწკლებად გადაიქცნენ... ბოლოს ძალზედ დაქანცული მივეგდებოდი საწოლზედ, და მალე შემბრალებელი ძილი დამიხუჭავდა თვალებს...

— იმედია, თქვენ არ გამოგიცდიათ ეს მდგომარეობა? მომიბრუნდა ახალგაზდა კაცი, ცოტა ხნის ჩაფიქრების შემდეგ.

— არა, მაგდენზე საქმე არ მისულა, მივუგე მე.

— ბედნიერი ბძანებულხარ!—ამოოხვრით წარმოსთქვა მან.

«ლუკა, განაგრძო მან ისევ, ყოველთვის მოწამე იყო ამ ჩემი საშინელის მდგომარეობისა: ის იჯდა ხოლმე თავ-ჩაღუნული, დაფიქრებული ჩემს გვერდით და მიმზერდა შებრალების თვალებით; მას კარგად ვერ გაეგო, თუ რა მაიძულებდა მე, წინად ცელქს, ცოცხალ ყმაწვილს ასე მკაცრად მოვპყრობოდი ჩემსავ-თავს და მეწვალებინა რაღაც წყეულის ენის სწავლით... მაგრამ ამ აზრის გამოთქმა მას ჯერ ვერ გაებედნა ჩემთვის.

«ერთს საღამოს, როცა მე სულით და ხორცით მაშვრალი ლოგინზედ ვიწექ, ლუკა ჩვეულებისამებრ სტოლთან იჯდა ღრმად დაფიქრებული; მისს სახეს მეტის-მეტი უკმაყოფილების ბეჭედი აჯდა. სტოლზე ბჟუტავდა პატარა ლამპა. მე გამომეღვიძა, ერთი მძლავრად დავამთქნარე და ოდნავ წამოვიწიე ლოგინიდამ. ლუკა ისევ თავის ადგილას იჯდა.

— ბევრი მეძინა, ლუკას ვკითხე? მას რაღაც დაქანცულის, სუსტის ხმით.

— ბევრი კი არა და! რას ამბობ? შენი ძილი ძილს არა ჰგავდა,—აგრე მარტო კატებსა სძინავთ ხოლმე! ბურანში იყავი,—ხან ბოდავდი, რაღაც გაუგებარ სიტყვებს წამოიძახებდი, ხამთელი ტანი გიცახცახებდა.

— რას ამბობ?

— ღვთის მადლმა! მანო, იცი რას გეტყვი: არ იქნება თავი დაანებო მაგ ჯოჯოხეთურს ენას, «ლათინურია» თუ რაღაც ჯანდაბა? კაცო, ვეღარ გცნობილობ! გახსოვს სოფელში რა ვარდის-ფერი ლოყები გქონდა, რა ჟუჟუნა თვალები! აქ კი მკვდარივით გამოიმზირები...

— არ იქნება, ლუკა! ლათინური

ზეო. პელანში ჰფიქრობენ, რომ საზღვრის გაყვანა ენკენისთვემდე არ მოხერხდებაო.

ერთს საქმეს ვერ უწონებენ ახალის კონსერვატიულ სამინისტროის მეთაურს მარკიზ სალისბიურის. ამას წინად ჩვენ მოვიყვანეთ მარკიზ სალისბიურისაგან გამოთქმული სურვილი, რომ ამის სამინისტროს ოპოზიცია არ გასჩენოდა პარლამენტში, მომავალ ამორჩევამდის მაინც დაეცლიათ მისთვის და წინააღმდეგობა არ აღმოეჩინათ. ამ თხოვნაზედ გადაყენებულმა გლადსტონმა და ამისმა მომხრეებმა უპასუხეს, რომ ისინი მზად არიან ხელი შეუწყონ ახალს სამინისტროს, მაგრამ ვალდებულებას არავითარს არ მიიღებენ თავიანთ თავზე, რომ მათაც ნება არა ჰქონდეთ თავისუფალ მოქმედებისათვის. ამ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა ახალი მეთაური დიდი ბრიტანიის სამინისტროისა; მან პირ-და-პირ დედოფალს ვიკტორიას მიმართა და სთხოვა იხმაროს ამან ყოველი გავლენა თვისი გლადსტონზედ, რომ ეს ინგლისის სახემწიფო პირთა მეთაური მოწინააღმდეგედ არ გაუჩნდეს მისს, სალისბიურის სამინისტროს. აი, ეს გარემოებაა, რომ არ უწონებენ ახალს პირველ მინისტრს ინგლისისას; ამაში ხედვენ, სხვათა შორის, თუ რამდენად უძლურია ახალი მეთაური სამინისტროისა—მარკიზ სალისბური ყოფილს მეთაურზე—გლადსტონზე; მხოლოდ ენერგიას მოკლებული გარეშე პოლიტიკა იყო მიზეზი ძლიერის გადაყენებისა და, მასთან შედარებით, უძლურის გამეთაურებისაო...

საფრანგეთი. მომავალ დეპუტატთა ამორჩევისათვის აქედამვე შეუდგენ მზადებას საფრანგეთში, თუმცა ეხლანდელ პალატას ვადა ოქტომბერში უთავდება. მოურიგებელნი თხოულობენ დაუყოვნებლივ მოწვევას ამომრჩეველთა. პალატას-კი ბიუჯეტის გარდა გასარჩევი აქვს ურიცხვი პროექტები, რომელნიც შინაგან პოლიტიკისათვის ფრიად საყურადღებონი არიან.—ბრისონის სამინისტროს დაუთმია მცირედი და აგვისტოს პირველისათვის დაუნიშნავს ამორჩევები. ყველა დასები, რასაკვირველია, დიდს მზადებაში არიან, მაგრამ ყველაზედ უფრო მეცადინეობს ბონაპარტიული დასის კომიტეტი, რომელმაც გამოსცა ამ დღეებში პროკლამაცია და მოიწვევს ყოველ კეთილ-გონიერს შვილს საფრანგეთისას შემწეობა მისცენ ხსენებულს დასს «დახავსებულს» რესპუბლიკურ დასთან ბრძოლაში. ბონაპარტული კომიტეტი პირობას სდებს, რომ მოსპობს პარლამენტარიზმს, გაასწორებს ბიუჯეტს და ხალხში განამტკიცებს სარწმუნოებისადმი მიდრეკილებას.

საფრანგეთის ზღვის ძალას მოაკლდა ერთი სარდალი ადმირალი კურბე, რომელიც გასულ კვირაში გარდაიცვალა თვისს სამშობლოზოდამ დიდს მანძილზე მოშორებით. ადმირალი კურბე ამ უკანასკნელ ხანებში სარდლობდა აღმოსავლეთისაკენ გაგზავნილს ესკადრას. მინისტრთა რჩევამ გადასწყვიტა ხაზინის ხარჯით დაიმარხოს მამაცი გენერალი, რომლის გვამი უნდა მიასვენონ საფრანგეთში.

ეგვიპტე. ლონდონში მოსული მაჰდის წერილი, რომელშიაც ცრუწინასწარმეტყველი იწერება, რომ მისგან ტყვედ წაყვანილ ქრისტიანეთ ჰსურსთ დარჩენ მის ჯარში და მიიღეს კიდეც სჯული მაჰმადისა. მაჰმადი წინადადებას აძლევს ადგილობრივ ინგლისელთ, მიიღონ მათაც მაჰმადის სჯული და ჩაეწერონ მისს ჯარში, თუ არა ჰსურთ, რომ ერთიანად გაიჟლიტონ. ამ წერილთან იყო მეორე წერილიც, ხელ-მოწერილი 96 ქრისტიანე-ტყვეთაგან, რომელნიც აღიარებდენ, რომ მათ არა ჰსურსთ დასტოვონ მაჰდის ჯარი, უარ-ჰყვეს ქრისტეს სჯული და მაჰმადის სჯული მიიღეს

# სხვა და სხვა ამბავი.

ქაბულიდამ ერთს სპარსულს გაზეთს სწერენ: როდესაც ემირმა აბდურახმანმა რაულ-პინდაში ინდოეთის ვიცე-კოროლი ნახა და უკანვე დაბრუნდა, მაშინვე უბძანა თავის 66 ცოლს დარბაზში შეკრებილიყვნენ, რომ ყველა მათგანისათვის ინდოეთიდამ მოტანილი საჩუქარი მიეცა. დანიშნულს დროს ემირის ცოლები შეიყარნენ. მათ წინ მიუძღოდა საჭურისთ-უხუცესი თვისის თანაშემწით. პირველს წითელი ტანისამოსი ეცვა, მეორეს ყვითელი. ღირსების ნიშნად მათ ორივეს ვეცხლის პატარა ჯოხები ეჭირათ. თორმეტი საჭურისი და ორმოცი მონა-ქალი უკან მოსდევდენ; ამათ ყველას თეთრი ტანისამოსი ეცვათ. ბაღდახინის ქვეშ საჭურისებს ემირის ოთხი კანონიერი ცოლი მოჰყავდათ და ყველა მათგანს თავზედ ოქროს გვირგვინი ედგა. მათ შემდეგ დანარჩენი ცოლები მისდევდენ. ზალაში რომ შევიდნენ, ცოლები და საჭურისნი მეფის წინ შედგნენ და თავი მოიდრიკეს; მაშინ ემირმა თავის ხელით უბოძა ყველა თავის ცოლს საჩუქარი და ყველას სათითაოდ სიტყვა უთხრა სპარსულს ენაზედ.

—

დღევანდლამდის ბევრი მაგალითი მომხდარა უმაწვილი ქალის მოტაცებისა თაყვანის-მცემლისაგან. მაგრამ ის კი იშვიათად მომხდარა, რომ ქალს კაცი მოეტაცოს. ეს შემთხვევაც ამ ახლო ხანში მომხდარა პარიჟში. ერთს უმაწვილს კაცს, გვარად ლეჟანს, როდესაც იგი თავის სახლისკენ მიდიოდა, უეცრად ოთხი კაცი დასხმია თავს და პირის აკვრა მოუნდომნიათ, რომ არ დაეყვირა. ერთს იმათგანს დაეძახა თავის ამხანაგებისთვის: „კარეტა მოვიდა, დააჩქარეთო“. ლეჟანი დიდხანს იბრძოდა თურმე და ერთი მათგანი კიდეც დაკბინა. ამ დროს მოვიდენ პოლიციის მოხელენი და ყველანი პოლიციაში წაასხეს, სადაც მათ გამოაცხადეს, რომ ერთმა ქალმა, გვარად ჟ. მოგვისყიდა ჩვენ, რათა ლეჟანი დაგვეჭირა და იმის სახლში წაგვეყვანა. ლეჟანმა სთქვა მაშინ, რომ მაგ ქალს ვიცნობ და ხშირად მემუქრებოდა ჩემს სახლში ძალად მოგიყვანო; მას სწყინდა, რომ მე სხვა ქალს ვირთავდი და არა იმასაო. ამის დასამტკიცებლად ლეჟანმა ქალის წერილი ეჩვენებინა პოლიციისათვის. პოლიციამ ქალი ჟ. თავის მომხრე კაცებით დაატუსაღა.

---

ენა უმთავრესი საგანია გიმნაზიაში, და თუ ის კარგად არ იცი, ისე გიმნაზიას ვერ გაათავებ, ვერას გზით ვერ გაათავებ, გესმის?

«ამ სიტყვებზე ლუკამ განცვიფრებით შემომხედა, და უეჭველია, წაიკითხა ჩემს სახეზედ აუცილებელი გარდაწყვეტილება, რადგანაც საწინააღმდეგო ვერაფერი ჰითხრა.

— კარგი თავი დავანებოთ მაგას,— მომიბრუნდა ლუკა რამდენიმე წამის სიჩუმის და დაფიქრების შემდეგ;— წამო, გავისეირნოთ, მშვენიერი საღამოა! გინდა რიონის ნაპირზე წავიდეთ, გინდა სხვაგან.

«მე დავსთანხმდი.

«ჩვენ გავედით გარედ და დავეშვით დაღმართს რიონისკენ. დღე-ღამე ჯერ მთლად არ გაყრილიყო. დასავლეთისკენ ჰორიზონტზე კიდევ მოსჩანდენ უკანასკნელი მზის სხივები, რომელნიც ცეცხლის ალივით მოსდებოდენ ბუმბულივით მსუბუქ ღრუბლებს და სისხლის ფრად შეეღებათ ისინი. თხელი ნისლი, თითქოს ნაზი ქსოვილი, გარდაფენოდა მდინარის ნაპირებს, რომელთ შორის მოუსვენარი რიონი დრტვინვით მიაქანებდა აქაფებულს ტალღებს. ბაღიდამ რაღაც ფანტასტიურის სახით იყურებოდენ ეკლესიის სამრეკლო და გუმბათი მოელვარე ჯვრებით: მათ ჯერ ვერ მისწვდომოდა საღამოს ნისლი და ამ წამს ისინი ჰგავდენ ჰაერში აშენებულს კოშკებს.

«ჩვენ მოგვხვდა სახეზე ცივი, ნაზი ნიავი, როცა ჩავედით ნაპირზე... მე გამოვფხიზლდი, თვალები გამინათლდა, გულმა სიამოვნებით ტოკვა დამიწყო.

— «ოჰ, რა მშვენიერებაა! წამოიძახა გატაცებით ლუკამ. ეს ჩვენს სოფელს მაგონებს... ნეტავი კიდევ ერთი მაჩვენა... რა რიგად მენატრება... აქ, მართალი უნდა ვთქვა, მომწყინდა... საქმე რომ რამე მქონდეს, კიდევ ჰო!...

«საკვირველია! მე ამ დრომდის სრულიად ვერ ვამჩნევდი ლუკას მოწყენას. მხოლოდ ეხლა, როცა მან ათრთოლებულის ხმით, თითქოს თავსთან ბრძოლით გამოსთქვა თავის მდგომარეობა,—მხოლოდ ეხლა ვიგრძენ, თუ რა უმადურება გამოვიჩინე ჩემის მეგობრისადმი, რომელსაც ძმურად, თავ-დავიწყებამდის ვუყვარდი.. მრთელი ჩემი ბუნებით კეთილი არსება აღშფოთდა ამ აზრით, ლოყებს სირცხვილის ფერი გადაეკრა...

«მე მაგრად დავუჭირე ლუკას ხელი და ვუპასუხე აღელვებულის ხმით, რომელშიაც მონანიების კილო ისმოდა:

— «მომიტევე, ლუკა!... მომიტევე, რომ აგრე უმადურად მოგეპყარ!... შენ იცი, რა კეთილი გული მაქვს... როგორ მიყვარხარ... მომიტევებ ხომ ლუკა, ა?...

«მე ვშიშობდი, რომ წინააღმდეგი არ ეთქვა რა...

«მან შემომხედა თავის დიდრონის კეთილის თვალებით, რომელთ გამომეტყველება მე კარგად წავიკითხე: მათი თბილი ალერსით სავსე შუქი თითქოს შიგ გულში მომხვდა და ააძგერა იგი კარგა ხნით დაძინებულის გრძნობით..

«მან მაგრად ხელი-ხელს მომიჭირა...

— «რას ამბობ, ვანო? შენი წყენა სრულიად არ მინდოდა... მე ისე... მოუფიქრებლად წამოვროშე მოწყენილი ვარ-მეთქი.... შენი აქ რა ბრალია?

— «არა, არა! ნუ მამართლებ! მივუგე გაცხარებით;—მარტო მე ვარ დამნაშავე... ღირსი ვარ, რომ შემიძულო ..

«აქ მოხუშულის სახით დავაცქერდი რიონის ტალღებს, თითქოს მათ შორის ვეძებდი ჩემი უმადურობის დამტკიცებას. . რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მივუბრუნდი ლუკას:

— «ვიპოვე საშუალება, რომ არ მოგწყინდეს... აბა, გამოიცან, ლუკა, რა მოვიფიქრე?—სწავლა! უნდა ისწავლო და აღარ მოგწყინდება.

— «რა, რა უნდა ვისწავლო? შეშინებით დამეკითხა ლუკა. ის ენა შენ რომ ბურანში გაგდებს, განა? არა მე იმის სწავლა არ შემიძლია! ქვა მაზიდვინე, შეშა მაპობინე, რაც გინდა, მხოლოდ იმ შრომისაგან განმათავისუფლე...

«მე გავიღიმე.

— «ნუ გეშინია, ნუ გეშინია, ლუკა! ლათინურს კი არა, ქართულს კითხვას გასწავლი; კითხვა რომ გეცოდინება, მერმე წიგნებსაც წაიკითხავ. და აღარ მოგწყინდება; ორთავეს საქმე გვექნება...

«ლუკას ამ სიტყვებზე სახე გაუნათლდა.

— «მგ კი მომწონს! მაშ მე ქართული კითხვა მეცოდინება? წიგნებსაც წავიკითხავ? სხვა-და-სხვა ამბებს და ზღაპრებს ვისწავლი?. . ოჰ, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი, ვანო! მერე მალე ვისწავლი კითხვას? ა? რას იტყვი? ..

— «მგ შენზეა დამოკიდებული. თუ მოინდომებ მალე ისწავლი.

— «მოვინდომებ კი არა, ისე ვისწავლი, როგორც შენ «ლათინურს» სწავლობ.

— «მაშ კარგი! ხვალვე დავიწყოთ.

«ამ დროს მთვარე კაშკაშით ამოგორდა ცის დასავალზე,—ნელა მედიდურად, როგორც მოწყენილი მზეთუნახავი და გაანათლა არე მარე. რა მშვენიერება იყო ამ დროს ბუნება! ნისლი, თითქო ღამკრთალი ღამის მნათობისაგან თან-და-თან გათხელდა და თითქმის გაიბნა. მდინარის ზედაპირი სარკესავით კამკამებდა და მის ზვირთებში გამოსჭვიოდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, რომელიც უცნაურად ჰქროთდა შიგ. ნაზის სხივებით მოვერცხლილს ჰორიზონტზე ოდნავ მოსჩანდენ მთების ცისფერი მოხაზულობანი; ზოგჯერ აქა-იქ მთვარის შუქზედ ბრწყინავდა ახლად მთებზე ჩამოწოლილი თოვლი. ბუნება მოისვენა, ტკბილს ძილს მისცემოდა.. მხოლოდ არ ეძინა ჯერ ქალაქს, რომლის ხმაურობას აყრუებდა შფოთიანი, მოუსვენარი რიონის დენა..

«კარგა ხანს ვსტკბებოდით მე და ლუკა ამ სურათით, და ბოლოს სახლისკენ გავეშურეთ.

(გაგრძელება იქნება)

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

იენისის 14-ს

პეტერბურგი. გამოცხადებულია სახელმწიფო რჩევის დადგენილობა სულზე გადასახადის მოსპობისა და საიჯარო გადასახადთა შეცვლის თაობაზე: მოისპოს სულზე გადასახადი 1886 წლიდამ საბატონო, სახასო და სხვა გლეხებზე, რომელნიც მოხვდენ 1861 წ. თებერვლის 19-სა და 1863 წ. აგვისის 26-ის დადგენილობის ქვეშე; ბალტიის ნაპირა გუბერნიების გლეხებზე, რომელნიც განსხვავებულ მდგომარეობის ქვეშე იმყოფებიან, სახაზინო მიწებზე დასახლებულთა გარდა, მალოროსიის ყაზახებზე და სხვა დასახლებულებზე, იმათ გარდა, რომელნიც საიჯარო გადასახადს იხდიან; 1887 წ. სრულიად მოისპოს სულზე გარდასახადი მთელს იმპერიაში, ციმბირის გარდა; 1887 წლიდამვე, რადგან ამ დროს შესრულდება ვადა, სადამდინაც დაწესებული იყო მუდმივი ზომა საიჯარო გადასახადისა სახელმწიფო გლეხთაგან, შეიცვალოს რიგი ამ გადასახადისა მირეულად განაღდებისათვის 44 წლის ვადით; მიენდოს ფინანსთა მინისტრს დაუყოვნებლივ მოახდინოს შემდეგი დადგენილებანი: ა) საიჯარო გადასახადის შეცვლაზე სახელმწიფო გლეხთაგან, იმ სახით, რომ საერთო ჯამი, რომელიც უნდა შეგროვდეს, თავის დასახსნელ გადასახადის ნაცვლად 45% მეტად არ აღემატებოდეს ეხლანდელს საერთო ჯამს ამ გადასახადისას და რომ განაწილება ამ გარდასახადისა სოფლებ-შორის, შეძლებისა დაგვარად შეესაბამებოდეს მათ მიერ აღებულის ნადელის ფასსა და შემოსავალს, და ბ) თუ რა ცვლილება უნდა მოხდეს იმ კანონებში, რომელნიც დაფუძნებულნი არიან კამერალიის აღწერაზე და რა პასუხის გებაში უნდა იყვნენ ისინი, რომელნიც გარდაჭრილს ხარჯს აძლევენ ხაზინას, ხარჯის ფურცლის ან პასპორტის წესის ძალით. ამ საგნების შესახებ კანონების პროექტი უნდა შეტანილ იქმნას გასასინჯავად დადგენილის წესით ისე, რომ მათი აღსრულებაში მოყვანა შეიძლებოდეს 1887 წ. იანვრის პირველამდის.

იენისის 15-ს.

პეტერბურგი. მემკვიდრე ცესარევიჩმა შესწირა 5000 მანათი და დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ 1000 მან. გროდნოში ცეცხლისაგან დაზიანებულ ღარიბებს.

გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება შესახებ სახელმწიფო სათავად-აზნაურო სააdგილ-მამულო ბანკისა. ფინანსთა მინისტრს მიეცა ნება პირველის ხარჯისათვის აიღოს სახელმწიფო ბანკიდამ სამ მილიონ მანათამდე. მანვე უნდა იზრუნოს ამ ბანკის შემწეობით იმ პირთა შემსუბუქებისათვის, რომელთაც საურთიერთო საადგილ-მამულო კრედიტის საზოგადოებიდამ სესხი აუღიათ და შეიმუშავოს წესი მცირე-ვადიანი სესხის მიცემისა თავად-აზნაურთადმი.

არხანგელსკი. აქ მობძანდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე.

## ბირჟა

პეტერბურგი იენისის 14.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— — | $24^{5}/_{32}$ $24^{5}/_{16}$ $24^{3}/_{16}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | $205^{3}/_{4}$ 206 $206^{1}/_{2}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | $254^{1}/_{2}$, 255 |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 18 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 15 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 29 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | 6 და $6^{3}/_{4}$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | 99 მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | $97^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | 97 მ. 87 კ. გაყ. |
| მეოთხე გამოც. — — | 97 მ. 37 კ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. — — | $97^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — — | $95^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| მეორე გამოც. — — | $95^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოც. — — | $95^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | $225^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | $202^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | 169 მ. 62 კ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. 89 მ. გამყ. 43 წ. $88^{3}/_{4}$ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. 43 წ. 90 მ. გამყ. |

## ცნობანი

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 16 თიბათვიდამ 1 კათათვემდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ |
| ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ | $2^{1}/_{2}$ |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის ლავაში | 1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^{1}/_{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა— | 1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 15 კ |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ | 8 კ |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | - 1 | გ. | |
| მეორისა — | —1 — | გ. | |

### რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

**თბილისიდამ ბათუმისაკენ**

8 საათზე და 35 წამ. დილით.

**ბათუმიდამ თბილისში შემოდის**

10 საათ. 25 წამ. ღამით.

**თბილისიდამ ბაქოსკენ**

10 საათზე 55 წამზე ღამით.

**ბაქოდამ თბილისში შემოდის**

8 საათ. დილით.

**თბილისიდამ სურამისაკენ**

3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

**სურამიდამ თბილისში შემოდის**

8 საათზედ 24 წამ. დილით.

# განცხადებანი

## ქუთაისში,

**ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში** ისყიდება ყოველ-გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ-და-პირ საკუთარ შენობაში.

(8—2)

რადგან ზოგიერთა-პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

**სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,**

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება **რვა მანათიდამ ათ მანათამდე**, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი

(25—22) გ. ქართველიშვილი.

## მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზია

# ქუთაისში.

ისყიდება: ყოველ-გვარი ქართული და რუსული წიგნები, რომელნიც სახელმძღვანელოდ არიან მიღებულნი ყველა სასწავლებლებში.

წიგნები: საბავშვო, სამეცნიერო, იურიდიული და ბელეტრისტიული.

სამწერლო (კანცელიარიული) მოწყობილებანი და სხვა სასწავლო ნივთები: ქაღალდი, კალამი, კარანდაში, რვეულები სხვა და სხვა წერისათვის.

# ყოველივე ძლიერ იაფად.

ვსთხოვთ ბ. ბ. ზედამხედველთ და მასწავლებელთ ჩვენის მხრის სასწავლებელთა დროით გვაცნობონ—რა და რა სახელმძღვანელონი იქნებიან საჭირონი მომავალ სასწავლო წლისათვის, რომ დროითვე შევუდგეთ იმ სახელმძღვანელოთა დაბარებას.

(50—2)

საკლობუსო  კალმები

ტურნერისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისეულს ქარვასლაშია. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კანვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაქდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შჩოტკები, პირსახოცები, ჰოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა“ (pen of exhibition, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპეიკად თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85.

(100—21)

*Доз ценз. Тифлисъ, 15 Іюня 1885 г.* მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.